ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კახა კალაძეს

ასლი-- ს.ს.ი.პ. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ასლი--ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის

უფროსს ბატონ გიორგი ბაგრატიონს

ბატონო კახა,

როგორც თქვენთვის ცნობილია ქ.თბილისში ვაჟა-ფშაველას 76-ს,ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 039/032), მიწის საკადასტრო კოდ 01.14.03.039.055 (048)-ზე, ე.ს.ა.,,ვაჟა-ფშაველა 2007"-ის თავმჯდომარე, დავით მახარაშვილი გაყალბებული დოკუმენტაციის მერიაში წარმოდგენითა და უკანონოდ მოპოვებული დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემული ბრძანებით აწარმოებს III კატეგორიის მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას,რაზეც მიმდინარეობს შესაბამისი გამოძიება. სისხლის სამართლის საქმე №007250915004-ზე.

შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე,კიდევ ერთხელ გაცნობებთ რომ მშენებლობის მომდებარე ტერიტორია მშენებლების მიერ არის დანაგვიანებული სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით,ტერიტორიაზე (ოთხივე მიმართულებით) მიმოფანტულია სამშენებლო და საოფაცხოვრებო ნარჩნები ,ფრაქციული ღორღი, სამშენებლო ბლოკის ნაშალი,ქვიშა ხრეშოვანი ნარევი,სამშენებლო ბლოკის პადონის სალტეები,საყალიბე მასალა,მისი ნარჩენები და და საკვები პროდუქტები,ხოლო საფეხმავლო კიბის უჯრედის უხარისხო და არასათანადო გადახურვის გამო მაკავშირებელ ღიობებში კვლავ ცვივა სამშენებლო მასალები,ნაგვიანდება კიბის საფეხურები, კიბის ბაქანი დატბორილია წყლით, მშენებარე შენობის მხოლოდ 10%-ია შეფუთული სამშენებლო ბადით,ხოლო მშენებლობა მიმდინარეობს დამკიცებული პროექტის დარღვევით არ ეწყობა შშმმ პირების პანდუსი და მისი მისასვლელი ბაქანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახეზეა, სახელმწიფოსა და ჩვენზე მოყენებული პირდაპირი, უშუალო და ერთმნიშვნელოვნათ მძიმე ზიანი და დაკანონებული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობა. შესაბამისად დანაშაულებრივი ქმედებით, ჩვენ მოგვადგა უმნიშვნელოვანესი ზიანი,ჩვენი კორპუსები პრაქტიკულად არის გაუვალი, განვიცდით მზის სინათლის ნაკლებობას,ანტისანიტარიასა და უჰაერობას, შესაბამისად

გთხოვთ, განახორციელოთ კანონშესაბამისი მოქმედებები,მიიღოთ ადექვატური გადაწვეტილებები და გვაცნობოთ შედეგები.

შესაბამისად გთხოვთ, ადგილზე გასვლით გადაამოწმოთ წინამდებარე წერილში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარობა, გასცეთ შესაბამისი მითითებები, დაიწყეთ ან/და განაახლეთ ადმინისტრაციული საქმეების წარმოება,სამშენებლო სამართალდამრღვევებს დაარიცხოთ ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადახდა, ჩაგვრთეთ მხარედ და გვაცნობეთ შედეგები.

პატივისცემით, ზურაბ გეიტრიშვილი

(პ/ნ 01024031682)

„24" აგვისტო 2018 წელი.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 78 ბინა #14 ს/ტ. 577 575704